ქსენია ანდღულაძე-გუჯაბიძე 100 წლის გახდა

ალიონი. თხინვალის საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი ქსენია ანდღულაძე-გუჯაბიძე 100 წლის გახდა.

ქალბატონი ქსენია 5 ათეულ წელზე მეტი ემსახურებოდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. იყო სოფლის დაწყებითი სკოლის გამგე, შემდეგ თხინვალის 8-წლიანი სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი.

სამი შვილი აღზარდა. ორი ქალიშვილი მის კვალს გაჰყვა. ლამარა გუჯაბიძე ათეული წლების მანძილზე თხინვალის საშუალო სკოლაში ასწავლიდა დაწყებით კლასებში. სამწუხაროდ იგი 3 თვის წინ გარდაიცვალა. მეორე ქალიშვილი ლეილა თბილისში მოღვაწეობს, ხოლო ვაჟი ავთანდილი იყო სოფელ თხინვალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. შემდეგ მისი სპეციალობით-სატყეო მეურნეობაში მუშაობს.

18 მაისს, 100 წლის ქალბატონს დაბადების დღე მიულოცეს განათლების რესურსცენტრმა, თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციამ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა. სხვა საჩუქრებთან ერთად ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა იუბილარი 500 ლარით დააჯილდოვა.

კომპანია –„NOVA-ს“ ოზურგეთულ ბრენდში, მაღაზია „ლიზი-2-ში“ მიღებულია:

– უკრაინული ბრენდის „დნიპროს“ ელექტროტექნიკა;
–„დიოს“, „ბეტეკას“, „ჰენოტექსის“ მაღალხარისხოვანი საღებავები;
– „ვიოლა პრამის“ დეკორატიული საღებავები;
– ყველა სახის ცემენტი, ფითხი („შპაკლი“);
– საზღვარგარეთული სხვადასხვა ზომისა და ფორმის კარები, კედლის პანელი, პლასტიკატები, მეთლახი, კაფელი, გრანიტი;
– აბაზანისა და ტუალეტის აქსესუარები;
– ავზები, სანტექნიკისათვის საჭირო მასალები, ელექტრონათურები ერთწლიანი გარანტიით...

„ლიზი-2“ – ფართო ასორტიმენტი, მაღალი ხარისხი, ხელსაყრელი ფასები, საუკეთესო სერვისი!

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 20 (10265) 21 მაისი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

კამპანია „მაისის გაზომვების თვე“ „ჭადრების ბაღში“

ალიონი. დაიწყო მსოფლიო კამპანია „მაისის გაზომვების თვე – 2018“. აქციაში აქტიურად არის ჩართული ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და საქართველოს ჰიპერტონიის შემსწავლელი საზოგადოება.

კამპანიას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ოზურგეთის განყოფილება 17 მაისს „ჭადრების ბაღში“ გამართული აქციით შეუერთდა.

ექიმებმა ნონა მახარაძემ და თამარ დუმბაძემ ჰიპერტონიასა და **C** ჰეპატიტზე უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს ასობით ოზურგეთელს.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ოზურგეთის განყოფილების ხელმძღვანელის არჩილ მჟავიას თქმით, ეს კვლევები ძალზე მნიშვნელოვანია ზოგადად ქვეყნის და კონკრეტულად რეგიონების ჯანდაცვის პოლიტიკის შემდგომი ფორმირებისათვის.

№1 რისკი ზოგადი სიკვდილიანობის სტრუქტურაში არის მაღალი არტერიული წნევა. 10 მილიონი სიცოცხლე იკარგება ყოველწლიურად მაღალი წნევის გამო. მაღალი წნევის მქონე პირთაგან მხოლოდ ნახევარმა თუ იცის ამის შესახებ.

C ჰეპატიტი კი ვირუსით გამოწვეული ღვიძლის საკმაოდ სერიოზული დაავადებაა. ინფექციის გადაცემის ძირითად ფაქტორს სისხლი წარმოადგენს. მის მძიმედ მიმდინარეობას ისიც ართულებს, რომ ხშირად ინფიცირებიდან 20-30 წლის შემდეგ ვლინდება. დაავადებული თავისი ავადმყოფობის შესახებ მხოლოდ მაშინ იგებს, როცა ვირუსის მიერ ღვიძლი უკვე დაზიანებულია.

„ნარკომანია გაახალგაზრდავდა"

ნარკომომხმარებელი – დამნაშავე თუ ავადმყოფი?

მარი კოკოევი

საქართველოს პოსტსაბჭოთა რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ნარკოპოლიტიკა აქვს. 2002 წელს წამალდამოკიდებულება დაავადებად აღიარეს, მაგრამ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში შესაბამისი ცვლილებები არ შესულა, რის გამოც აღნიშნული კანონი დღემდე წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებების უმთავრეს პრინციპებთან: ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული ადამიანი ერთსა და იმავე დროს ავადმყოფიც არის და დამნაშავეც. ადამიანების აზრი ორად იყოფა, ერთნი ფიქრობენ, რომ რეპრესიული ნარკოპოლიტიკის გამო ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობა იზრდება მეორენი კი -პირიქით ,კანონის ლიბერალიზაციაში ხედავენ საფრთხეს. ბოლო დღეებში თემა განსაკუთრებით გააქტიურდა.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკოლოგიის გურიის რეგიონული ცენტრის“ დირექტორი **გია თავბერიძე:** – დეკრიმინალიზაციას ვემხრობი, რადგან ნარკომანი არის ავადმყოფი. კი არ უნდა ისჯებოდეს, უნდა იყოს სამკურნალო ცენტრები, სადაც ხელმისაწვდომი იქნება მკურნალობა, ხოლო მომხმარებელი უნდა ისჯებოდეს. ნარკომანი სხვაა და მომხმარებელი სხვა. თუ ადამიანი ერთხელ ან ორჯერ მოწევს, ის მომხმარებელია, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება გახდეს დამოკიდებული, როცა ნარკოტიკის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, წამალდამოკიდებულია. ესაა განსხვავება მომხმარებელსა და ნარკომანს შორის. ნარკომანი ნარკოტიკს ღებულობს იმიტომ, რომ უკვე ავადმყოფია, ძლიერი ტკივილები აწუხებს და მის მოსახსნელად სჭირდება ნარკოტიკი. როცა მოხდება ორგანიზმის ტკივილებიდან განტვირთვა, შემდეგ ნარკოტიკს უკვე საკაიფოდ ეძებს, სიამოვნების მისაღებად.

დეკრიმინალიზაციის მომხრეა არასამთავრობო ორგანიზაცია „ფენიქსი-2009“ გამგეობის თავმჯდომარე, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის გამგეობის თავმჯდომარე, **ოთარ ჯიჯიეშვილიც:**–საშინელი ნარკოპოლიტიკა გვაქვს. ჩემი აზრით, სრული დეკრიმინალიზაცია გამოიღებს ყველაზე კარგ შედეგს. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ამაზე საუბარიც არ არის, მაგრამ ლიბერალიზაცია აუცილებლად საჭიროა. შეუძლიათ შპრიცში ჩარჩენილი წამლის გამო ადამიანი 8 წლით ციხეში გაუშვან. მაშინ, როცა მკვლელობასა და გაუპატიურებაზე 5 წლით სჯიან . სახელმწიფო აღიარებს, რომ ნარკომანია ავადმყოფობაა, მეორე მხრივ, ავადმყოფს იჭერს. სად არის ლოგიკა?! ამ ლოგიკით დავიჭიროთ ვისაც დიაბეტი ან ფილტვების ანთება აქვს. ან არ უნდა ვაღიაროთ, რომ ავადმყოფობაა, ვთქვათ, რომ დანაშაულია. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შეცვალოს ნარკოპოლიტიკა. 1969 წელს, როცა პირველად იქნა მიღებული კანონი ნარკოტიკებთან

გვ-3

მაჟორიტარი დეპუტატი ადგილობრივ მედიას შეხვდა

ალიონი. გასულ ორშაბათს, ოზურგეთში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი და უმრავლესობის ლიდერი **არჩილ თალაკვაძე** ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

გაზეთ „ალიონმა“ დასვა კითხვა, რომ „ქართული ოცნების“ ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნების სამი მიზეზზე ისაუბრა, რომელთაგან ერთ-ერთი უშუალოდ პარტიაში არსებულ ფუჭ კინკლაობა და მისი გაღრმავების შესაძლებლობა დაასახელა. კონკრეტულად რა დაპირისპირებაზე საუბრობდა იგი, არჩილ თალაკვაძემ უპასუხა, რომ გარკვეული მედიასაშუალებები ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, თუმცა მცირე გაუგებრობები პარტიაში მართლაც არსებობდა, მაგრამ ყრილობის ჩატარების შემდეგ ეგ მცირე გაუგებრობები აღმოიფხვრა.

დეპუტატმა ხაზი გაუსვა ხელისუფლების მიერ მოსახლეობასთან კომუნიკაციას, მან დაასახელა წინა დღის შეხვედრა სოფელ მთისპირის მოსახლეობასთან და დაანონსა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი აპირებს საკომუნიკაციო შეხვედრებს რეგიონებში.

ჟურნალისტების კითხვაზე, სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით, დეპუტატმა უპასუხა, რომ ნარკოპოლიტიკის მოდელი, რომელსაც მხარს უჭერს მმართველი გუნდი, ეფუძნება ევროპულ ოთხსვეტიან ნარკოპოლიტიკის –პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია, ზიანის შემცირება და სამართალდამცავთა ეფექტური მუშაობა ორგანიზებული ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ, დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ ნარკოტრეფიკინგთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განათლებისა და სპორტის სფეროში დასაქმება, რომ ისინი დაცულნი იქნენ ნარკოდამოკიდებულებებისაგან.

ბრძოლა კორუფციასთან არის ხელისუფლების სტრატეგიული საკითხი. მხარისა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკითხებზე არჩილ თალაკვაძემ განაცხადა:

–მხარის გუბერნატორი არის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი. ის პასუხისმგებელია ყველა იმ ამოცანებზე, რომელიც რეგიონებში ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს დასახული.რამდენადაც ვიცი, ბატონ მერაბ ჭანუყვაძეს აქვს ურთიერთობა და საქმიანი თანამშრომლობა იმ სამინისტროებთან, რომელთა საქმიანობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მათ შორის, ინფრასტრუქტურისა და რეგიონის განვითარების, ასევე ჯანდაცვისა და სხვა სამინისტროებთან. მე პირადად მხარი დავუჭირე და დღესაც ვაფიქსირებ ღია მხარდაჭერს გუბერნატორის მიმართ, მხარი დავუჭირე მას პარტიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის პოზიციაზე და რა თქმა უნდა მომავალშიც დავუჭერ მხარს იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც მის წინაშე დგას. მე ასევე კომუნიკაცია მაქვს საკრებულოს თავმჯდომარესთან, საკრებულოს წევრებთან, ასევე მხარის გუბერნატორთან, მუნიციპალიტეტის მერთან და ჩვენს პარტიულ ორგანიზაციასთან. ეს კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი, იმიტომ რომ მქონდეს ობიექტური შეფასებები მიმდინარე პროცესებთან და იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რაც არსებობს ოზურგეთში და მე ყოველთვის გახსნილი ვარ თითოეულ მათგანთან.

არჩილ თალაკვაძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის შესაძლო იმპიჩმენტთან დაკავშირებით განაცხადა, იმპიჩმენტის პროცედურა მკაცრადაა კანონში გაწერილი და კონსტიტუციური ორგანოების და მათი წარმომადგენლობის საქმიანობა უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის ფარგლებში. ხოლო მასთან ამ თემაზე არც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და არც მერს კონსულტაციები არ ჰქონია.

კითხვაზე რას ფიქრობს კრიმინალის განსაკუთრებულ ზრდაზე, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ ბოლო დროს მართლაც შეიმჩნევა სტატისტიკის ზრდა, თუმცა ყველა შემთხვევაში პოლიციის მხრიდან სწრაფი და დროული რეაგირება მოხდა.

შეხვედრაზე გაზეთ „ალიონმა“ დასვა კითხვა შავი ზღვისპირეთის მიწების შესახებ, რომლის გაყიდვის კანონიერებასთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოზიციას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საკრებულოს ნაციონალი დეპუტატები და ისინი მაჟორიტარი დეპუტატის გვარსაც ასახელებენ.

როგორც არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოს, ხოლო მას როგორც დეპუტატს ამ მიწებთან არანაირი კავშირი არ აქვს.

მედიასთან შეხვედრის მიმდინარეობის დროს ითქვა, რომ ბესიკ მელუას კანდიდატურა განიხილება „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის მდივნის თანამდებობაზე:

–ეს არის შიდა პარტიული საკითხი, თუმცა გიდასტურებთ, რომ ნამდვილად მიმდინარეობს ბესიკ მელუას კანდიდატურის განხილვა.–განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ფამფალეთი-მთისპირის გზის მე-3 ეტაპის სამუშაოები დაიწყო



ალიონი. მესამე წელია ფამფალეთი-მთისპირის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ეს გზა მნიშვნელოვნად ამცირებს სოფელ მთისპირიდან ქალაქ ოზურგეთამდე მანძილს და საშუალებას აძლევს ორი სოფლის (მთისპირი, ფამფალეთი) მოსახლეობას მეტი კომუნიკაცია ჰქონდეს მუნიციპალიტეტის ცენტრთან.

მე-3 ეტაპი ყველაზე რთულია შესრულებულ სამუშაოებთან შედარებით, რადგან გარდა გზის რთული მონაკვეთისა რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს მდინარე ბახვისწყალზე მდებარე ხიდს, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებში აიგო, მაგრამ არ დასრულებულა.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსმა თემურ გირგაძემ გვითხრა, სულ 1775 გრძივი მეტრის გზა გაკეთდება, რაზედაც შპს „გზამშენი 18“ (უფროსი თემურ ჯაჯვა), 823 223 ლარის სამუშაოებს შეასრულებს. მშენებლობა უკვე დაიწყო და სატენდერო პირობით წელსვე, 2 სექტემბრამდე უნდა დასრულდეს.

მორიგი სასამართლო პროცესი - სალუქვაძე, კვაჭანტირაძე, მელუა მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ

მარი კოკოევი

გასული კვირის პარასკევს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში ჩატარდა მოსამზადებელი პროცესი ხათუნა სურგულაძე, ქეთევან კვაჭანტირაძე, ბესიკ მელუა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ .მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა სამივე უკანონოდ გაათავისუფლა და ჩამოაქვეითა.

თითოეულმა მხარემ რამდენიმე შუამდგომლობა დააყენა. მოსამართლე მარინა კიკნაძემ სურგულაძე, კვაჭანტირაძე, მელუას ყველა შუამდგომლობა დააკმაყოფილა, ხოლო დაცვის მხარეს თითქმის ყველა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

ხათუნა სურგულაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად აღდგენას ან ტოლფას თანამდებობას ითხოვს. ბესიკ მელუა, ორი მუნიციპალიტეტის გაერთიანებამდე, ქალაქ ოზურგეთის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებდა.ქეთევან კვაჭანტირაძე გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი იყო. იგი სპეციალისტად ჩამოაქვეითეს და ახლა ძველი პოზიციის ტოლფას თანამდებობას ითხოვს.

მომდევნო მოსამზადებელი სხდომა 30 მაისს 12 საათზე ჩაინიშნა.

შეხვედრა სკოლის უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებით

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით , ოზურგეთში კოლეჯ "ჰორიზონტში" სკოლის უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი იყო ზოგადი განათლების სისტემაში ჩართული და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სკოლის უსაფრთხოების კონცეფციის გაცნობა, მათი შეფასებისა და ინიციატივების მოსმენა.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გენადი მარგველაშვილმა და კომიტეტის წევრმა თეიმურაზ ჭკუასელმა, ასევე, მანდატურის სამსახურთან დაკავშირებით „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილებების კანონპროექტზე გაამახვილეს ყურადღება. შეხვედრა კითხვა -პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

სამუშაო შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე, საკრებულოს წევრებთან ერთად, გურიის მხარის გუბერნატორის მოადგილე არჩილ ყაზაიშვილი, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი,სკოლების დირექტორები, მასწავლებლები, მანდატურები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგნელები ესწრებოდნენ.

„ნარკომანია გაახალგაზრდავდა"

ნარკომომხმარებელი – დამნაშავე თუ ავადმყოფი?

მიმართებაში, ოზურგეთში იყო 50-მდე ნარკომანი . 10 წლის შემდეგ მათი რაოდენობა ორი-სამი ათასამდე გაიზარდა. აი, ეს შედეგი გამოიღო აკრძალვამ. როცა ვლაპარაკობ დეკრიმინალიზაციაზე, ვგულისხმობ, რომ არც ერთი ნარკოტიკის მოხმარებაზე არ უნდა იყოს სასჯელი. ლაპარაკი არ არის გავრცელებაზე. ამ შემთხვევაში სასჯელი ძალიან მკაცრი უნდა იყოს. ქვეყნებში, სადაც ნარკოტიკების ლიბერალიზაცია მოხდა, ცოტა ხნით შეინიშნებოდა მომხმარებელთა რაოდენობის მცირე მატება, ხოლო შემდეგ - კლება, საკმაო რაოდენობით. ამავე დროს პორტუგალიიას და ჩეხოსლოვაკიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ თითქმის ნულამდე დავიდა ამ პოპულაციაში შიდსისა და **C** ჰეპატიტის გადადება.

ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ ორივე რესპოდენტი ამბობს, რომ ნარკომომხმარებელთარაოდენობა ოზურგეთში დიდია. საგულისხმო ფაქტია - „ნარკომანია გაახალგაზრდავდა".

გია თავბერიძეს, როგორც ექიმ-ნარკოლოგს, ყოველდღიურად უწევს ურთიერთობა როგორც „სტაჟიან ნარკომანებთან" და ახალ მომხმარებლებთან, ასევე მშობლებთან, რომლებიც ცდილობენ, როგორმე აარიდონ შვილები ნარკოტიკს.

გაახალგაზრდავდა ნარკომანია. ადრეული ასაკიდან, სკოლის პერიოდიდან, უკვე მეხუთე კლასიდანაც ანაშის მწეველები გვხვდებიან. დღე არ გავა, მშობელი არ მოვიდეს, მოიტანოს ანალიზი, არ გვკითხოს რჩევა როგორ მოიქცეს? რა პრობლემები აქვს მის შვილს? 100 შემთხვევიდაან 20-30 შემთხვევაში დასტურდება, რომ არასრულწლოვანი, ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელია. ეს ძირითადად არის მარიხუანა. დანარჩენ შემთხვევებში ბარბიტურატები, საძილე საშუალებები. მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკი არ არსებობს. იწყებს ყველა ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკით, მარიხუანათი და მერე გადადის სხვა ნარკოტიკებზე. შევესწარი ფაქტს მე-7-8 კლასელები საუბრობდენ, ერთი ეუბნება მეორეს, მე გუშინ მოვწიე მარიხუანა და სტრესები მომეხსნაო. ეს გარდატეხის ასაკია, იწყება სტრესული სიტუაციები და გრძელდება მთელი ცხოვრება. თუ ამ ასაკის ბავშვი მარიხუანით ეცდება სტესულ სიტუაციასთან გამკლავებას, წარმოიდგინე, ცხოვრებაში რამდენი სტრესის გადალახვა მოუწევს და რა უნდა გაიკეთოს, რომ ეს სტრესი მოეხსნას.- გვეუბნება გია თავბერიძე

ოთარ ჯიჯიეშვილი: ოზურგეთში ნარკომანების რაოდენობა მაღალია. თუმცა, კარგი ის არის, რომ ე.წ. ახალი კლუბური ნარკოტიკები ოზურგეთში ძალიან ცოტაა, თითქმის არაა, მხოლოდ ერთეული შემთხვევები გვხვდება. მეტადონის პროგრამამ შეამცირა ქუჩურ ნარკოტიკებზე მოთხოვნა. თუმცა. არის მეორე, სუბოქსინის პროგრამა, რომლის ყიდვაც, სამწუხაროდ, უპრობლემოდ შეიძლება. იყიდება იაფად, ადვილად ხელმისაწვდომია. მაგალითად, მე და თქვენ შეგვიძლია, წავიდეთ და ვიყიდოთ. სუბოქსინს ძირითადად ეტანებიან ახალგაზრდები. ძველი თაობის ნარკომანებისთვის სუბოქსინი ფაქტიურად არ მოქმედებს რადგან კომბინაციაა ნარკოტიკის შემცვლელისა და ანტიდოტის. გაკეთებისთანავე არაფერი იგრძნობა. ვერ გეტყვით, რატომ, მიმბაძველობით თუ სხვა მიზეზით, მაგრამ არის სუბოქსინზე მოთხოვნა, არის ბაზარზე. პრევენცია საჭიროა ძალიან ადრეული ასაკიდან. ნარკოტიკი ცუდია. ოზურგეთის ათამდე სკოლაში მქონდა შეხვედრები ბავშვებთან. ვიწყებ იმით, რომ არ გასინჯონ არც ერთი ნარკოტიკი. თუ დაგვიჯერებს ვინმე, კარგი. სამედნიეროდ, მიჯერებს ბევრი. ბევრი ავაცდინე ცუდ გზას.

გია თავბერიძე: ვისაუბროთ რეალურად. ნუ შევფუთავთ ლამაზი ფერებით უმძიმეს დაავადებას. საქართველოში ოფიციალურად დაახლოებით 50 000 ადამიანი მძიმე ნარკოტიკული სენითაა დაავადებული. მოდაში შემოვიდა განტვირთვის დღეები. სამუშაო დღეებში მუშაობენ, შაბათ-კვირას კლუბურად ერთობიან, იღებენ ნარკოტიკს . უამრავი სხვადასხვა სახის ნარკოტიკი შემოვიდა შეცვლილი სახით, ფორმულით, სიკვდილიანობამაც მოიმატა.ზოგი ფიქრობს, ვინც სასიკვდილოა, მოკვდესო, მაგრამ ესეთი მიდგომა არ ივარგებს. ერთ წამალდამოკიდებულს შეუძლია მინიმუმ 10 პიროვნება ჩართოს თავის ქსელში. ჩვენ შვილებს საკმარის ყურადღებას ვერ ვაქცევთ, ხდება მათი ჩათრევა ამ წრეში ისე, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ. როცა შევამჩნევთ, უკვე გვიანია. მსოფლიოში მესამე ადგილზე ვართ, როგორც ნარკოტიკების მომხმარებლები. ეს საგანგაშო ციფრია.

—რა შედეგები მოიტანა ჩანაცლებითმა თერაპიამ?

— მეტადონის პროგრამას აქვს თავისი დადებითი შედეგი, მაგრამ ეს ერთ-ერთი საფეხურია ნარკომანიის მკურნალობის კუთხით. მეტადონის პროგრამიდან გასულ პიროვნებებს ჭირდებათ შემდეგი რეაბილიტაცია. ეს ამჟამად არ ხერხდება. სახელმწიფო შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, მაგრამ საკმარისი არ არის. თბილისსა და ბათუმში არის სტაციონარები, სადაც უფასოდ მკურნალობენ, რომ მოხდეს განკურნება. მაგრამ ეს არის ქრონიკული დაავადება და საბოლოო განკურნება ძნელია. შესაძლებელია, გარკვეული პერიოდი იყოს რემისია. ვისთანაც მიგვიწვდება ხელი, ყველას ვეუბნებით, მოიტანონ ახლობლების ოჯახის წევრების ანალიზი, რათა ინახოს არის თუ არა პიროვნება ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების რისკის ქვეშ. ამის შემდეგ ვაკვალიანებთ, ვეძებთ პრობლემის მოგვარების გზებს ანონიმურობა დაცულია, გვარსახელი არ გაინტერესებს. საგულისხმოა, რომ საზოგადოება დაავადებას მიიჩნევს, როგორც შავ ჭირს, მაგრამ ამის ფონზე მაინც ინერტულია. ყველა აგინებს ნარკომომხმარებლებს, ამავე დროს, თვითონ მომხმარებელია. პრევენციისთვის აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენთან, რომ სენი ქრონიკულ ფორმაში არ გადაიზარდოს. გვყავს კვალიფიციური ექიმები პირადად მე ექიმი-ნარკოლოგი ვარ. საერთოდ, ქვეყანაში არასაკმარისია ექიმი სპეციალისტები, სამი გვყავს ოზურგეთში, ჩვენთვის საკმარისია, მაგრამ ლაჩუთი, ჩოხატაური?! ექიმებსაც შესაფერისი პირობები უნდა ჰქონდეთ, ურთულესი სამუშაოა აღნიშნულ პაციენტებთან, მათ ფსიქიკა დაზიანებული აქვთ.

ოთარ ჯიჯიეშვილი: შეიძლება ითქვას რომ ბევრი სიცოცხლე გადაარჩინა მეტადონის პროგრამამ. მასში ქვეყნის მასშტაბით 7 000 ადამიანია ჩართული 180-მდე ოზურგეთში, თუმცა ციფრი მერყეობს. ჩანაცვლების პროგრამის დახმარებით ხალხი აღარ ეძებს ფულს, ნარკოტიკს, ბარიგას. მიდის და სვამს ნარკოტიკის შემცვლელს, რომელიც მას ფეხზე აყენებს და აძლევს საშუალებას ნორმალურად იაროს, რაღაც გააკეთოს სრულფასოვნად. თუმცა, გულახდილად ვიტყვი, ეს სრულად არ ცვლის ნარკოტიკს, ყველას ურჩევნია ნარკოტიკი მიიღოს, მაგრამ მის ძებნას, ფულის შოვას, პოლიციასთან უსიამოვნებას ხალხი თავს არიდებს.

„უნდა მოხდეს ინფორმაციის სწორი მიწოდება, რომ საპირისპირო შედეგი არ მივიღოთ", - ამბობს გია თავბერიძე.

ხანდახან ანტირეკლამას რეკლამის ხასიათი აქვს. ნარკომანიის გაახალგაზრდავება გამოიწვია იმ პროპაგანდამ, რაც ტელევიზიით სხვადასხვა საინფორმაციო არხებით მიმდინარეობს. პროპაგანდას უწევენ ნარკოტიკს და საერთოდ ყველაფერს, რაც კი მავნეა საზოგადოებისთვის.

და ბოლოს, ორივე რესპონდენტი საზოგადოებას ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ მოუწოდებს . და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას სთავაზობს.

ოთარ ჯიჯიეშვილი:—ძირითადად ვმუშაობთ შიდსისა და სხვა ინფექციური დაავადებების პრევენციაზე, ასევე ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებაზე. ნარკოტიკების მომხმარებლებს ვასწავლით, როგორ აიცილონ თავიდან დაავადებები ვურიგებთ მედიკამენტებს,ვუწევთ სხვადასხვა დახმარებას - იურიდიულს, ფსიქოლოგიურს.

გია თავბერიძე: ერთმა მკითხა, არ სვამ, არ ეწევი, რითი კიფობო? ვმუშაობ, რომ ვიღლები და ჩემს ნაშრომს ვხედავ, ეს მანიჭებს ყველაზე დიდ სიამოვნებას-მეთქი. ყველას თავისი ინტერესის სფერო აქვს, მაგალითად, მე მსიამოვნებს, რომ სხვა კარგადაა.

„დავით დარჩია: „ჩვენ ყველა ოზურგეთელები ვართ და პირველ რიგში პატივი ვცეთ ერთმანეთს"



ალიონი. გასულ პარსკევს გამართული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა კვლავ ხმაურიანი იყო. დეპუტატების ერთი ნაწილის აქტიურობის მიზეზი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესს შეეხებოდა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ სხდომის დასაწისშივე სთხოვა დეპუტატებს დაეცვათ წესრიგი: „ნუ იქნება ადგილიდან გადაძახილ-გადმოძახილები.. რატომ უნდა ვიყოთ ამ კუთხით ვინმეს დასაცინი, როცა ოზურგეთის საკრებულო ყველაფერში პირველია.. გამობრძანდით ბატონო ტრიბუნასთან და ისე ისაუბრეთ, ვინ შეგიშლით ხელს.. ჩვენ ყველა ოზურგეთელები ვართ ბატონებო და პირველ რიგში პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთს"— მიმართა დეპუტატებს დავით დარჩიამ.

დეპუტატების ერთი ჯგუფის (შოთა გოგიბერიძე, თორნიკე გოგუაძე, ბესო ქათამაძე, შალვა თავდიშვილი) კრიტიკის საგანი ბიუჯეტიდან ამხანაგობების თანამონაწილეობის წილის ოდენობას ეხებოდა, რომელიც ასე იყო წარმოდგენილი:

ა) შენობის სახურავის შეკეთების შემთხვევაში –5%;

ბ) შენობის სახურავის შეკეთების შემთხვევაში–5%:

გ) შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შემთხვევაში –15%;

დ) სახურავის წყალსარეტი მილების შეკეთების შემთხვევაში –10%;

ე) სადარბაზოს კარების დამზადების და მონტაჟის შემთხვევაში –20%;

ვ) ლიფტის შეკეთების შემთხვევაში 3% და ა.შ.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ლავრენტი ბიგვავას აზრით, სახურავის შეკეთება არ არის მუიციპალიტეტის უფლებამოსილება, იგი შინაგანად არ უჭერს მხარს ამხანაგობებისათვის თანამონაწილეობის მინიმუმამდე შემცირებას, მაგრამ იგი მხარს დაუჭერს საკრებულოს საერთო აზრს.

—გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ ერთობლივად —განაცხადა ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისთვის" თავმჯდომარე შოთა გოგიბერიძემ.

მას შემდეგ რაც კამათი „ყაყანში" გადაიზარდა საკრებულოს თავმჯდომარემ შესვენება გამოაცხადა. პოზიცია ოპაზიციას წარმომადგენლები ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე გელა არაშიძის კაბინეტში ჩაიკეტნენ.

განახლებულ სხდომაზე საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინთიბიძე გამოვიდა.

საბოლოოდ მცირე ცვლილებებით გადაწყვეტილება მიიღეს.

საკრებულოს სხდომაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ და სათამაშო ბიზნესისა მოსაკრებელის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებაც იმსჯელეს.

ნარკოსვეტი

გამოსავალი

უცნაურია, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს რომ ვაკვირდები, ამ ხალხს ხელისუფლება დიპლიპიტო ჰგონია, ვისაც მოეპრანება, ყველა უტყაპუნებს.

— ასე მოუხდება მგას, „ოთრი ხმაური" წითელ ხმაურად რომ არ აქციო! — სიტყვასიტყვით არა, მაგრამ შინაარსობრივად ნამდვილად ასე ბეუტურობენ: ოპოზიცია, განსაკუთრებით ვამბრებვით სისხლმოწყურებული რადიკალები; არასამთავრობების დიდი ნაწილი, რომელსაც უცხოეთიდან ვინმემ გრანტი დათრევინოს და სულ ერთ ადგილზე ჰკიდია ხალხი და ქვეყანა; მასმედია, მეტადრე ტელევიზიები, დედოშვილს რომ იხვევენ რეიტინგებისთვის.

როგორ მიბედავენო, — ჯერ ეწყინა და როცა გაუბედეს, — მერე ეტკინა „დიპლიპიტოს". ოფიერა, ოფიერა და სხვა რომ ვერაფერი მოიფიერა, სავარაოდ ამოისავლა: ნარკომანის შესახებ ორ თვეში, ივლისის ბოლოსთვის ლიბერალურ კანონს გავაშნშალებო და როგორც გამზადებულ სუფრაზე საპატივცემულო სტუმრები, პროექტზე სამუშაოდ ისე მიიპატიჟა ოპოზიციაც, არასამთავრობებიც, მედიაც და გირჩანი თუ უგირჩო სტაჟიანი ნარკომანებიც, უკაცრავად, წამალდამოკიდებულებიც, მგონი ნარკობარიგებიც. ერთად აღებული ერთი ესენია ლიბერალური კანონის შემმუშავებლები და მეორე მე ვარ მარსზე დამჯდომი. რომც შეიმუშაონ, რა? რომელი წამალდამოკიდებული იქნება კანონმორჩილი — გაგლეჯილ კოფში რომ არის თუ „ლომკიდან" გამოსასვლელად, რომ ფულს გამოგძალავს სადარბაზოში?!

ჩემი გადასახედიდან, არის უკეთესი გამოსავალი, შესაძლებელია, იდეალურიც, რამეთუ ჩვენ კანონმორჩილზე უფრო შოუს ხალხი ვართ, შოუსი! ჰოდა, გაუმარჯოს ზოგადად შოუს და კონკრეტულად „X-ფაქტორს". რომ არა ის, ეს იდეა ასი წელი არ მომივიდოდა: ქართულ მალარეტინგულ ტელევიზიებში ყოველლიურად მოვაწყოთ დიდი ნარკომოუ, სახელწოდებით „ N-ფაქტორი". ჰა, როგორ ჟღერს! მე თქვენ გეტყვით ჟურის ვერ მოვძებნით თუ ნომინაციებს ვერ დავაწესებთ. პირველში თუ გაგვიჭირდა, აგერ არ არიან სტეფანე მღებრიშვილი და ნანიკო ხაზარაძე, ტელეშოუში დიდი გამოცდილების მქონენი, დანარჩენ ორს ნარკომანიაში განსაკუთრებულად გათვითცნობიერებულები შერჩევენ.

ბარემ ნომინაციებით დავაწესოთ:

— **ახალბედები** არსებული ნარკოპოლიტიკის გამო აზიურ ფაროსანასავით რომ მრავლდებიან;

— **ბალახდამოკიდებულები,** ანაშას თუ ნარკოტიკების შემცველ სხვა ბალახებს ხბორებივით რომ ეტანებიან;

— **სინექციო წამალდამოკიდებულები,** ზოგიერთი ექთნისგან განსხვავებით, საკუთარ თუ სხვის ვენებში პროფესიონალურად რომ შედიან;

— **შერეულები, ანუ ჩამბლები,** ბალახის თუ წამლის კიფიდან მთელი ცხოვრება რომ არ გამოდიან და სხვებსაც ითრევენ ნარკომორევში.

შოუს მასშტაბურობიდან გამომდინარე, შერჩევითი ტურები ჩატარდება ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში. შოუში მონაწილეობის უფლება ეძლევათ ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს და ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელ ტურისტებს.

ყველა ნომინაციას ორ-ორი გამარჯვებული ეყოლება, ერთს გამოავლენს ჟიური, ხოლო ერთს — ტელემაყურებელი პირდაპირ ეთერში განხორციელებული მობილური ტელეფონების ზარების საშუალებით.

ნომინაციაში გამარჯვებულებს, გარდა ძვირადღირებული „ყველგანმავლობისა", ვილდოს სახით, ნარკობარიგებისაგან გადაეცემთ ერთი წლის სამყოფი „სუფთა წამალი"

მოკლედ, მიმიქარავს ნებისმიერი პოლიტიკური და მუსიკალური შოუ, იმდენი მაყური შემოვა. ასე არ ვფობა? არც სიმწრით შეკოწიწებული ბიუჯეტიდან დაგვეხარჯება ფული და არც აქციაზე ერთი თმაგაჯენჯილი კაცი რომ განსაკუთრებით აქტიურობდა, იმისი და არც სხვა მისთანათა ნაკიფარი, აყოლებული ამონასუნთქით დაგვინძურდება გარეშე.

თემურ მარშანიშვილი.

26 მაისს, ოზურგეთში, ნოე ჟორდანიას ვაჟის, რეჟებ ჟორდანიას მიერ შექმნილი ჰიმნი შესრულდება



26 მაისს, ქ. ოზურგეთში, ნოე ჟორდანიას ვაჟის, რეჟებ ჟორდანიას მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ჰიმნი შესრულდება. მას გაერთიანებული გუნდი (ხელმძღვანელი ნათია გორდელაძე) შეასრულებს.

„ნოე-იორკი, 2017 წლის 26 მაისი

დღეს შესრულდა 99 წელი!! დიახ, თითქმის საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც მამაჩამმა, ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს! თითქმის აღარავინ არაა ცოცხალი, ვინც უკვე დაბადებული იყო იმ დროს, და რა თქმა უნდა, არავინ არაა ცოცხალი, ვისაც რამე მაინც ემახსოვრება იმ დროის მოვლენებიდან. ჩემი უფროსი და ნათელა, რომელიც დაიბადა თბილისში 1918 წლის ნოემბერში, გარდაიცვალა შარშან, 98 წლის ასაკში. ასევე შარშან გარდაიცვალნენ ჩემი უკანასკნელი თანამედროვეები, კლოდ დე კემულარია და ზეინაბ ქედია-ზურაბიშვილი. 95 წლის ასაკში მე ვარ უკანასკნელი პირდაპირი შთამომავალი იმ დიდებული ხალხისა, რომლებმაც შექმნეს ჩვენი პირველი რესპუბლიკა. მე დავიბადე პარიზში იმ წელს, როცა ჩვენი ქვეყანა დაპყრობილ იქნა წითელი არმიის მიერ, და როცა ქართული მთავრობა, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების შესაბამისად, წავიდა ემიგრაციაში თავისუფლებისათვის ბრძოლის გასაგრძელებლად.

26 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ ჩამოიბერტყა კომუნისტური უღელი, გახდა დამოუკიდებელი, და აღდგინა 26 მაისი, როგორც ჩვენი ეროვნული დღესასწაული. მაგრამ ჩემთვის, და ყველა უფროსი თაობის ქართველთათვის, რომლებაც საბჭოთა ოკუპაციის 70 წელი ემიგრაციაში გაატარეს, თითქმის საუკუნეა გასული! "–წერდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ვაჟი- რეჟებ ჟორდანია (ვრცელი წერილი,,99", რომელიც რეჟებ ჟორდანიას ახლობელმა მარინა კვიჟინაძემ მოგვაწოდა, შარშან, გაზეთ „ალიონის" 19 ივნისის ნომერში დაიბეჭდა).

2018 წლის დასაწყისში, ქალბატონ მარინა კვიჟინაძისაგან ახალი წერილი მივიღე:

„ბატონო ნუგზარ,

იმედია, გახსოვთ ჩვენი მიმოწერა რეჟებ ჟორდანიასთან დაკავშირებული.

ამჯერადაც ახალი, მე მგონი საინტერესო და სასიხარულო ინფორმაციით გაწუხებთ.

ბატონმა რეჟებმა საქართველოს დამოუკიდებლობის საუკუნოვან იუბილეს მიუძღვნა ჰიმნი (ოთხმიანი გუნდისათვის). მისი დიდი სურვილია, რომ ეს ჰიმნი გურიაში – მის მშობლიურ მხარეში შესრულდეს.

ვიმედოვნებ, თქვენსკენ მოიძებნება გუნდი, რომელიც ამას შეძლებს.

დაზუსტებისათვის გიგზავნით ბატონ იოსებ ჟორდანიას (ცნობილი ეთნომუსიკოლოგი, მოღვაწეობს მელბურნში) მიერ ჩემთვის გამოგზავნილ წერილს ამის თაობაზე.

„მარინა,

გიგზავნით რეჟების წერილს, იმისათვის რომ ეს ტექსტი და მუსიკა მიაწოდო გურიაში გაზეთის რედაქტორს, იქნებ მან მოძებნოს ვინმე შერეული გუნდი, რომელიც შეძლებს ნაწარმოების შესრულებას.

იოსებ ჟორდანია."

წერილს ახლავს განმარტება:

„ჰიმნი „იქნება" დაიწერა 1918 წლის მაისის ბოლო დღეებში და გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრებაში.". ავტორი იყო პოეტი და მწერალი ალექსანდრე აბაშელი, რომელიც ცნობილია, როგორც პირველი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის რომანის ავტორი.

მუსიკა შეიქმნა კონკრეტულად 1918 წლის დამოუკიდებლობის 100 წლისთავისათვის, 96 წლის რეჟებ ჟორდანიას მიერ. რეჟები ნოე რამიშვილის ვაჟიშვილია, რომელიც გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი მისი არსებობის მცირე ხნის განმავლობაში.

ჰიმნი „იქნება" განკუთვნილია ყველა ქართული საგუნდო ჯგუფისათვის. ჩვენ ჰიმნის ორ ვარიანტს გთავაზობთ: საკმაოდ კომპლექსური, პროფესიული და ნახევრად პროფესიული ჯგუფისათვის და სამოყვარულო ქორელისათვის (საგუნდო). მარტივი, რომელიც ადაპტირებული იყო ცნობილი ეთნომუსიკოლოგი ჟოზეფ ჟორდანიას მიერ."

ბოლო წლებში მუსიკალურ კონკურებსა და ფესტივალებზე წარმატებით გამოდის გრ. კილაძის სახელობის ოზურგეთის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდი, რომელსაც ნათია (ფოტინე) გორდელაძე ხელმძღვანელობს. შარშან ქ. თბილისში, რესპუბლიკურ ფესტივალზე მის მიერ მომზადებულმა გუნდმა საეკლესიო საგალობლების შესრულებისთვის ოქროს, ხოლო კლასიკური ნაწარმოებების შესრულებისთვის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ წელსაც. ამან განაპირობა, არჩევანის მასზე შეჩერება.

ნათია გორდელაძის გუნდი, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წლისთავისათვის რეჟებ ჟორდანიას ჰიმნს შეასრულებს.

ნუგზარ ასათიანი

გავუფრთხილდეთ საკუთარ რესურსებს

კალიფორნიის შტატიდან მოვლენილი ინვესტორი სს ინვესტიციების მართვის ქართული კომპანიის დირექტორი მინგ შან ჰუანგი დაინტერესებულია გურიაში ჩაის საწარმოს აშენებით და წარმოებული პროდუქციის ექსპორტით. ინვესტიციის ოდენობა საწყისს ეტაპზე დაახლოებით ერთ მილიონ დოლარს შეადგენს. გურიის გუბერნატორთან შეხვედრაზე ორივე მხარე შეთანხმდა ურთიერთთანამშრომლობაზე.

ჩვენ მივესალმებით ყოველგვარ ინვესტიციას ქვეყანაში და მითუმეტეს გურიის რეგიონში, თუმცა მეჩაიეობის დარგის მიმართულებით სასურველია ასეთი ინვესტიციები შიდა კერძო კომპანიების ან სახელმწიფო სახსრებით ხორციელდებოდეს. როგორც ყოველთვის, უცხოელი ინვესტორი დაინტერესებულია ქართული ჩაის ექსპორტი მოახდინოს იაფი მუშახელისა და იაფი ნედლეულის ხარჯზე, რაც ჩვენთვის კაბალური და წამგებიანია. აქვე გასათვალისწინებელია ის ვითარებაც, რომ უცხოელი ინვესტორი აქცენტს აკეთებს მხოლოდ ნედლეულის გადამუშავებაზე და არ ითვალისწინებს ინვესტიციების ჩადებას ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაზე, მოვლაზე და შემდგომ ექსპლოატაციაზე. მაშინ როდესაც გურია მეჩაიეობის ერთერთ მძლავრ რეგიონს წარმოადგენდა და ყოველწლიურად 130-ათას ტონა ნედლეულს ამზადებდა, დღეისათვის მისი სანედლეულო პოტენციალი 1000-ტონას თუ შეადგენს. აღნიშნული სანედლეულო ბაზა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს რეგიონში არსებული ჩაის საშუალო თუ მიკრო გადამამუშავებელი საწარმოების მოთხოვნილებებს.

ბუნებრივია ისმის კითხვა - უცხოელი ინვესტორის მიერ შემოთავაზებული ჩაის გადამამუშავებელი საწარმო რომელი ნედლეულის ბაზაზე აპირებს პროდუქციის წარმოებას და ექსპორტს? ნუთუ იგი ადგილობრივი ჩაის მეწარმეების უპირობო კონკურენტად უნდა მოვიაზროთ? ასეთი საკითხების მიმართ მეტი სიფრთხილეა საჭირო. ინვესტორების მიმართ ძირითადი აქცენტი ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაზე უნდა ავიღოთ.

გურია არა მარტო მეჩაიეობის მძლავრ რეგიონს წარმოადგენდა, აქვე ფუნქციონირებდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიდაც დამუშავებულია ჩაის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების პროგრესული ტექნოლოგიები, აქვე გამოყვანილია ქართული სელექციური ჩაის ჯიშები და კლონები. ქართულ ჩაიზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საექსპორტოდ. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ჩვენ ჯერ კიდევ 2016 წელს (აგრარული საქართველო №11, გაზეთი „ალიონი") ვაანონსებდით სახელმწიფოს მიერ გურიაში შექმნილიყო ერთი მაღალტექნოლოგიური ჩაის მრავალფუნქციური კომბინატი საკუთარი ჩაის პლანტაციებითა და გადამამუშავებელ - დამფსოვებელი დანადგარებით, როგორც საპილოტე საწარმო, სადაც დაინერგებოდა ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი და უცხოური ინოვაციური ტექნოლოგიები, რომელიც კონკურენტუნარიანობას შესძენდა დარგს.

აღნიშნული თემა ისევ რჩება დღის წესრიგში. საამისოდ ოზურგეთს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბუნებრივი რესურსები და რაც მთავარია სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც დღეისათვის წარმოდგენილია: აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის და ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული"-ს მაღალ კვალიფიციური სპეციალისტებით. თუ კი სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა შეძლებს აღნიშნული სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას გურიის რეგიონი ისევ გახდება მეჩაიეობის დარგის ფლაგმანი.

მეჩაიეობის დარგში განხორციელებული შიდა ინვესტიციები მნიშვნელოვნად დააჩქარებს ქვეყანაში დარგის აღორძინებას, ხელს შეუწყობს სოფლად უმუშევრობის დაძლევასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი" რომელიც უკვე მესამე წელია მიმდინარეობს. გაუფრთხილდეთ ჩვენს მიწა-წყალს, ბუნებრივ სიმდიდრეს და იმ მონაპოვარს რაც ათეული წლების მანძილზე ქართველი მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერაა შექმნილი. საკუთარი ძალებით გაუმკლავდეთ არსებულ სიძნელეებს, ეს კი მხოლოდ ხელისუფლებისა და ხალხის თანადგომითაა შესაძლებელი.

ზაურ გაბრიჩიძე,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა
დოქტორი პროფესორი

ქალაქი ოზურგეთი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი" №1-8,11,15-19

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი

შესაძლებელია ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდეს არა საკუთრივ ოზურგეთში მდებარე გურიის მთავრის სასახლეს, არამედ სოფელ ალამბარში, მდინარე აჭყვის მარცხენა სანაპიროზე არსებულ გურიელთა მეორე სამკვიდროს, ხოლო პაისიოს პატრიარქის მოგზაურობაში მოხსენიებულ მდინარედ აჭყვის წყალი ვიგლისხმოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ზემოხსენებული ცნობების გამოყენების თვალსაზრისით ადგილი აქვს მოგზაურობის მსვლელობასთან დაკავშირებულ მოვლენათა გარკვეულ შეუსაბამობას, რაც გამოიხატება შემდგომში:

1. ძნელი დასაჯერებელია იმ ხანად აჭყვის წყლის ესოდენ ვრცელ მანძილზე ქობულეთიდამ ალამბრამდე სანაოსნოდ გამოყენება. 2. აღებულ ხანაში ქობულეთის მხარეში და მისი სანაპირო თემები ვახტანგ ბატონიშვილის საგამგეო ქვეყნად ითვლებოდა, ხოლო ზემოხსენებულ საბუთში პირდაპირაა აღნიშნული: მივედით გურიის მთავრის სასახლეში 1659 წლის 22 მარტს. მთავრის სასახლე მაშინ ოზურგეთში მდებარეობდა, სადაც იმ ხანად მთავრის ტახტზე იჯდა საჭეთმპყრობელი სრულიად გურიისა ქაიხოსრო I ვახტანგ I გურიელის ძე. (1658-1660წ.წ.)

ძველი ოზურგეთისა და მის გარშემო ადგილთა შესწავლის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს როსტომ I გურიელისა (1534-1564) და მისი თანამეცხედრის თინათინის მიერ ერთგული ყმის იაშვილისა და მწიგნობარ-მგალობელი მღვდლების: ნასყიდასა და ხოსიასადმი ბოძებული XVI საუკუნის შუა პერიოდით დათარიღებული „წყალობის წიგნი".

„ესე წყალობის წიგნი, - აღნიშნულია საბუთში, - შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ მზითეულის ერთგულ ყმას იაშვილს, მწიგნობარს, მგალობლებს მღვდელს ნასყიდა, ხოსიასა. გიბოძეთ ფარხანიძისეული სასახლე თორმეტი კვამლის კაცებითა და შინა მოსამსახურითა მისის მარნითა, ჭურ-მამულთა, ტყითა, წყლითა, საყდრის კარითა სასაფლაოიანთ საყანითა, საყდარითა მისის უძებარ-საძებარითა. ასე, რომე ისკურდას გამოღმა ჭინკაძის კარავს მოღმა განძის ყვაურის თავს რომ წყალი ჩამოსჩქერის, იმის დაღმა და ბზვანის კიდესა კეჭიეთის საზღვარს და თუვაის ციხეს გადმოღმა სამების სათაყვანეს ამოღმა თქვენთვის გვიბოძებია... გორის საყდარიც თქვენთვის მოგვიცია და მასში შემავალი კაცებიც თქვენთვის მოგვიბარებია"... დამიწერია მე მდივანს ქარზანაძეს დავითს... (ხელრთვა: გურიელი როსტომ, დედოფალი თინათინ).

წინამდებარე საბუთი - „წყალობის წიგნი" როსტომ გურიელისა უაღრესად ყურადსაღები ძეგლია ძველი ოზურგეთის შემოგარენის, მისი მიმდებარე და გარემომცვე-ლი სანახების მიგნებისა და დადასტურების თვალსაზრისით.

საბუთში ცხოველ ინტერსს იწვევს მგალობლების – ნასყიდასა და ხოსიასადმი როსტომ გურიელის მიერ ბოძებული „ფარხანიძისული სასახლე, თორმეტი კვამლის კაცებით". გურიის ქვეყნის ონომასტიკონმა მსგავსი გვარსახელის-ფარხანიძის შესახებ ჯერ-ჯერობით არა უწყის რა. დაუდგენელია ამ უცნობ ფარხანიძის როგორც ვინაობა, ასევე მისი სასახლე საცხოვრისის ადგილმდებარეობაც, თუმცა მიუხედავად წყაროთა ამგვარი სიმცირისა ერთი რამ მაინც ცხადია: „ფარხანიძისეული სასახლის" ისკურდას გამოღმა არსებობა იმთავითვე მიუთითებს, რომ ხსენებული სა-სახლე გურიის მხარეში ცნობილი სოფლის გურიანთისა და ოზურგეთის განაპირა პუნქტის ადრე ეწერად სახელდებულ სოფელ ოზურგეთის მიდამოებშიაა საძიებელი, რადგან „ისკურდა" ამ შემთხვევაში გურიანთა – ეწრის მიდამოებში ჩამდინარე სკურდუმია, რომლის მარცხენა სანაპიროზე ჯერ კიდევ ამ 1400 წლის წინარე პერიოდში გაშენებული იყო ზღუდე-მტკიცე და ბჭე შეუვალი გურიის ძველი დედაქალაქი გურიანთის ვაშნარი.

ენვერ გოგუაძე

ეპოქა და ადამიანები

ჩვენი "ვახრო"–77



ოზურგეთის საფეხბურთო კლუბ „მერცხალის" ყოფილ ნახევარმცველს, არაჩვეულებრივ ფეხბურთელს, საქართველოს ადგილობრივი კლუბების ფეხბურთელთა ყველაზე განთქმულ 7 ნომერს, დიდი ოჯახის მამას, ბატონ ანზორ ვახრამოვს დაბადებიდან 77 წელი ივნისის თვეში უსრულდება. მან თავისი კაცური და დაუღალავი შრომით ქართულ ფეხბურთში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

იგი ჩვენი რაიონის ცნობადი პერსონაა, უყვართ, ადრინდელი ავტორიტეტი დღემდე მოყვება. მისი პერიოდის ფეხბურთელებიდან სულ ცოტანი დარჩნენ. ამ ინტერვიუთ ვიგონებთ ანზორ ვახრამოვის თანაგუნდელებს, იმ თაობის ფეხბურთელებს, ვინაც ოზურგეთის ფეხბურთს სახელი და დიდება მოუტანა. გთავაზობთ ინტერვიუს ანზორ ვახრამოვთან.

–შენი ბავშვობა..

–დავიბადე სოფელ ოზურგეთში, ჩემი წინაპრები –ვახრამოვები სწორედ იქედან არიან. როგორც გადმოცემით ვიცი, ბაბუა პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო, ომის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა გურიაში, დაქორწინდა თოხაძის გოგონაზე და დასახლდა სოფელ ოზურგეთში. გვარი კი მაქვს არაქართული, მაგრამ „პირწავარდნილი" გურული ვარ, ჩემი ჯიშით და ჯილაგით...

ჩემი ბავშვობა უკავშირდება ომიანობის პერიოდს. მამაჩემი გერმანე ბუღალტერ–ეკონომისტი იყო, მუშაობდა სამედიცინო გაერთიანებაში. მიუხედავად ამისა , რომ მამას ჯავშანი ჰქონდა, რამდენჯერმე მოითხოვა გაეშვათ ფრონტზე, მაგრამ, ვინაიდან ოზურგეთში მაშინ ჰოსპიტალი იყო, არ გაუშვეს, აქ გვჭირდებიო და ომში ფიზიკურად არ ყოფილა.

ოზურგეთის ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი. კარგი მოსწავლე ვიყავი, ვაფორმებდი კედლის გაზეთებს, ვღებულობდი მონაწილეობას შიდასასკოლო ოლიმპიადებში.

ფიზკულტურას ცნობილი პედაგოგი ვალოდია კილაძე გვასწავლიდა. იგი ჩემი გზისგამკვლევი იყო ფეხბურთში. მან ჩემში ფეხბურთელი დაინახა და მირჩია სპორტსკოლაში სიარული. ზაფხულის მთელ დღეებს მინდორში ბურთს დავდევდი, საღამოს კი ექადიის ძირში „შაქროს ტბაზე" ვატარებდი. უკვე ბეჯითად ვეღარ ვწავლობდი. ზამთარში, ჩემს სახლთან ახლოს, სამჭედლოში დავდიოდი. ბაზრის სამჭედლო ჩემი თაობის უსაყვარლესი ადგილი იყო, განსაკუთრებით სუსხიან ზამთარში. საოცრად თბილოდა, თან ვის არ ნახავდით აქ, განსაკუთრებით „შატალიოზე" მყოფ მოსწავლეებს: ბახულია მახარაძეს, კუტია (ნოდარ) ნაკაიძეს, თემუზი და რეზო ბებურიშვილებს, ლერიკა ჩხაიძეს (ყელწიას)... ყველას ვერ ჩამოვთლი.

მჭედლებიდან განსაკუთრებით ბესარიონ ქერქაძე დამამახსოვრდა. იგი წარმოშობით სოფელ ხიდისთავიდან იყო, არაჩვეულებრივი ჯელტმენი. ყოველ საღამოს „კოპწიად გამოწკეპნილი" ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ესწრებოდა წარმოდგენებს. იგი ჩვენი საყვარელი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ბიძა იყო... ახლაც ყურში ჩამესმის გრდემლზე ურის დარტყმის წკრიალი. მჭედლებს ხან ვეხმარებოდი და იგი ჩემი ფიზიკური ვარჯიში იყო.

–დიდ ფეხბურთში როგორ მოხვდი?

–ოზურგეთის სპორტსკოლის მოსწავლეები „კოლმეურნის" ცენტრალურ სტადიონზე ვვარჯიშობდით. იქ მნახა „კოლმეურნეს" მთვარმა მწვრთნელმა კაკო ხურციძემ და მთავარ გუნდში მიმიწვია ცხონებული ვახო გვარამაძის მაგიერ. ეს ჩემთვის დიდი პრესტიჟი იყო, რადგან ვახო გვარამაძე ოზურგეთის უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო. იგი გვანებივრებდა ყველა თამაშში მოწინააღმდეგის კარში ბურთის გატანით. ასეთი ფეხბურთელის შეცვლამ ძალა და ენერგია შემმატა, ამიმაღლა პასუხისმგებლობა. უკვე გვრძნობდი, რომ ხალხი შემიყვარებდა. ამ წარმატებებში დიდი იყო მწვრთნელის, კაკო ხურციძის დამსახურება.

–მახსოვს, შენ იყავი ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მძლეოსნობაში, კერძოდ სირბილში, ფეხბურთელებს შორის..

–სირბილში ბავშვობიდან ვვარჯიშობდი, ასევე ვიყავი რაიონის კალათბურთელთა ნაკრების წევრი. რომ არა ფეხურთი, მორბენალი ან კალათბურთელი გამოვიდოდი.

ერთხელ თბილისის „დინამოსთან" ამხანაგური მატჩის დროს, ფეხბურთელი გიორგი სიჭინავა ვერ დამეწია, თამაშის დამთავრების შემდეგ მითხრა: „შენისთანა სხარტი ფეხბურთელი საქართველოს ნებისმიერ გუნდს დაამშვენებსო"– ეს სიტყვები ჩემთვის დიდი პატივი იყო.

–რომელი ცნობილი მეკარისათვის გაგიტანია გოლი...

–მეტოქის კარში ბურთის გატანა დიდი სიხარულია. კარგად მახსოვს 1966 წლის 3 დეკემბერი. ამ დღეს მახარაძეში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩამოვიდა თბილისის „დინამოს" ძირითადი შემადგენლობა. იმ თამაშში ორი ბურთი გავუტანე სერგო კოტრიკაძეს და მისგან შექებაც დავიმსახურე. ეს მატჩი 4:3 მოვიგეთ.

–ხომ გახსოვთ ის ფეხბურთელები, რომლებიც იცავდნენ ჩვენი გუნდის ღირსებას და ვინ იყვნენ მწვრთნელები...

–გავიხსენებ შეძლებისდაგვარად: მეკარეები: შუტუ სალუქვაძე, მამუკა გირკელიძე, მიშა ცომაია, გური ვადაჭკორია, ლაჟვარდი ბოლქვაძე, ტარიელ ლომჯარია, ომარ (შამილ) გორგოშიძე, ჟორა ლომაძე, ლერი რუსიძე, პავლე ჟორდანია, გულო ჩემინავა, ჰამლეტ დობორჯგინიძე;

მცველები: –რეზო (ხეჩო) სალუქვაძე, ჰამლეტ დოლიძე, ანტონ დუმბაძე, ზურაბ მარგველაშვილი, რეზო ღლონტი, გივი სიმონიშვილი, ქუცა ქადეიშვილი, ვალოდია თაბერიძე, რეზო ცერცვაძე (ტიაღო);

ნახევარმცველები:– რეზო წივწივაძე (წიპლო), ილუშა ბილიხოძე, იური ურუშაძე, ბიძინა ტაბიძე, გალორდი ზურაბაშვილი, ნოდარ ჩხარტიშვილი, ნოდარ ბახტაძე (კომბალა), ვაჟა ჭყონია, საშა ბოლიაკი, რეზო ხომერიკი, ბადრი თალაკვაძე, ჯონი კაკალაძე, რუბიკა ხუჭუა, ზაზა მასხულია, ვახო გვარამაძე;

თავდამსხმელები: –ბახა მექვაბიშვილი, თამაზ სალუქვაძე, სოსო დუმბაძე, ავთო ნინუა, გური ქუტიძე, რაული ჩავლეიშვილი, პაპუნა ნემსაძე, ენვერ დოლიძე (პახტაკორა), ბორია კუპრაძე, დათო არობელიძე, გენო მენაბდე, ზურაბ მეგრელაძე. ჩვენს გუნდში აღიზარდნენ და შემდგომ ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობაში თამაშობდნენ: იური ჩხაიძე და ანზორ (სკენდერ) სიამაშვილი; ასევე ჩვენი გუნდის ღირსებას იცავდნენ: ანზორ კოშკელოვი (კოშკა), როლანდ ისიანი, ლერი თურმანიძე და სხვები. ჩვენი თაობის წასვლის შემდეგ \გუნდს შეემატა მზარდი და იმედისმომცემი ფეხბურთელი მურთაზ აბაშიძე, რომელიც დღეს ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის დირექტორია.

რაც შეეხება მწვრთნელებს –წლების მანძილზე ოზურგეთის „კოლმეურნეს," „სიხარულს,"„მერცხალს" წვრთნიდნენ: აკაკი ხურციძე, მიშიკო გორდელაძე, რეზო (ხეჩო) სალუქვაძე, დუდე მასხულია, ბიძინა ტაბიძე, კოტე გოგატაძე, ანატოლი ნორაკიძე.

–ჩვენს ბავშობაში მახსოვს მაყურებლით გადაჭედილი ტრიბუნები. დღეს ხალხი სტადიონზე ნაკლებად ან არ დადიან, რა ხდება?

–დღევანდელმა ყოფითმა პირობებმა, უმუშევრობამ, ტელევიზიამ და ინტერნეტმა ხალხი საკუთარ ოჯახებში ჩაიკეტა, აღარც ის ძველი ცნობადი ფეხბურთელები არიან.

–ვინ იყო გუნდისთვის უხერხული მეტოქე?

–ლანჩხუთის „გურია" ჩვენთვის აქილევსის ქუსლი იყო, მაგრამ გუნდის წევრებთან ყოველთვის ძმური დამოკიდებულება გვქონდა, რომელიც დღესაც გრძელდება.

1960 წელს, (მაშინ „სიხარულის" სახელით გამოვდიოდით), საქართველოს თასის ფინალში ლანჩხუთის „გურიას" შევხდით. ეს მატჩი დედაქალაქში გაიმართა და ჩვენი გამარჯვებით (4:0) დამთავრდა. ჩვენ მაშინ მეორედ მოვიპოვეთ საქართველოს თასი.

–იყო ასეთი პერიოდი, ფეხბურთის მსაჯს ზიაბლიკოვს კაცები დაუსწრებლად აგინებდნენ, ხოლო ქალები წყევლიდნენ, რატომ?

–1959 თუ 1960 წელს „კოლმეურნის" საკავშირო თასის ნახევარფინალს ვთამაშობდით მოსკოვის „ბ" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან. თამაში ჩვენი უპირატესობით მიდიოდა. მოულოდნელად ზიაბლიკოვმა უსაფუძვლოდ დანიშნა ჩვენს კარში პენალტი და თამაშიც წაგვაგებინა. ტრიბუნზე მყოფ მაყურებელს უნდოდა მსაჯი საფეხბურთო მოედანზე ჩაექოლათ, მაგრამ ივაჟკაცა მაშინდელმა მილიციის უფროსმა ვახტანგ ჩხიკვიშვილმა და მსაჯი ხალხს გაარიდა.

–დღევანდელ ფეხბურთზე მინდა გკითხო, 1990 წელს გამოვეყევით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს, როგორ აისახა იგი ქართული ფეხბურთის განვითარებაზე?

–ძალიან ცუდად აისახა ეს ქართულ ფეხბურთზე, სპორტი სხვაა და პოლიტიკა სხვა. დღეს ქართული ფეხბურთი ერთ ადგილზეა გაჩერებული...

–როგორ გაიხსენებ ფეხბურთზე „შეწირულ" კაცს კოტე გოგატაძეს?

–იმ წარმატებებს, რასაც „მერცხალმა" მიაღწია, დიდია კოტე გოგატაძის წვლილი. მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი საფეხბურთო წარმატებები. ადრე „მერცხალს" „დამბო" ერთქვა, შემდეგ„ კოლმეურნე," „სიხარული.\ სახელი „მერცხალი" სწორედ კოტედან მოდის. 50 წლის წინ ოზურგეთის „მერცხალმა" პირველად მოიპოვა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატებში ოქროს მედლები; ვიყავით საქართველოს ჩემპიონატის არაერთგზის პრიზორები და ორჯერ დავეუფლეთ საქართველოს თასს. ამაში კოტეს ლომის წვლილია. ძალიან მწყინს, რომ ოზურგეთის ცენტრალური სტადიონი მის სახელს ვერ ატარებს.

–ბევრისგან შესაშური, საინტერესო ცხოვრება გამოიარე, მომავალს როგორ ხედავ...

–მყავს არაჩვეულებრივი შვილები, შვილიშვილები, მოსიყვარულე მეუღლე. ვარ ძალიან ამაყი ჩემი ოჯახით და ვხხოვრობ ხვალის იმედით.

და ბოლოს, ჩვენი „ვახრო,"(ასე მიმართავენ ფეხბურთის გულშემატკივრები ბატონ ანზორს), გილოცავ გაზაფხულის შემობრძანებას, დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და წელთა სიმრავლეს, ასევე ხალხით გადაჭედილი„მერცხალის" ტრიბუნებს.

ბასუტა ოთხმეზური.

პოეზიის საღამო დვაბზუში

ალიონი. 16 მაისს სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლის კლუბმა „საფიხვნო",ცხემლისხიდის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, პოეზიის საღამო ჩაატარეს თემაზე: „დროთა კავშირი".

ღონისძიების ორგანიზატორი იყო კლუბ „საფიხვნოს" კურატორი, დვაბზუს საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნათელა ღლონტი. ღონისძიებას მასპინძლობდა შალვა რადიანის მუზეუმის დირექტორი, ცხემლისხიდის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნინო ჯაველიძე.

საღამო მუსიკალურად გააფორმეს მუსიკის მასწავლებელმა ნელი გოგოტიშვილმა და ანსამბლმა „შემოქმედი".

შალვა რადიანის ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოს აშშვენებდნენ: ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, გალაკტიონის მუზა მერი შერვაშიძე, ელენე დარიანი, ქართული პოეზიის მშვენება ანა კალანდაძე. ლესად იღვრებოდნენ გალაკტიონი, ვაჟა, ილია, აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, მირზა გელოვანი, ჯანსულ ჩარკვიანი, მუხრან მაჭავარიანი, ცისფერყანწელები- ტიციანი, პაოლო, კოლაუ, ვალერიანი; სიმონ ჩიქოვანი, ლადო ასათიანი, გიზო ნიშნიანიძე, შოთა ნიშნიანიძე, იოსებ ნონეშვილი, მორის ფოცხიშვილი, ტერენტი გრანელი, გოგლა ლეონიძე, ფრიდონ ხალვაში, თემო შენგელია, მამა პეტრე, რატი ამაღლობელი.

ეს იყო მართლაც ძალიან საინტერესო „დროთა კავშირი" თანამედროვე პოეტებსა და ძველ თაობას შორის.

ღონისძიებაში 65 ბავშვი მონაწილეობდა.

იუბილარი



ვულოცავთ!

თხინვალის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დაბადების დღეს ულოცავს ყველა ადამიანური თვისებებით შემკობილ პიროვნებას, სოფლის კოლორიტს, ბატონ **ოთარ დოლიძეს**. უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. იდღეგრძელე და იხარეთ თქვენს დიდებულ ოჯახთან ერთად.

სულის მართვა მანამ, სანამ სხეულს ფუნქციონირების უნარი გააჩნია

სულის მიერ სხეულის დატოვება ძირითადად ორ შემთხვევაში ხდება.

პირველ შემთხვევაში სული ამთავრებს რა ასტრალური სამყაროდან მოტანილი თანამედროვე ინკარნაციისათვის განსაზღვრული ენერგიის ხარჯვას, მან შეუძლებელია დატოვოს სხეული და დაიწყოს სამყაროს კანონზომიერებით გათვალისწინებული სამუშაოები.

მეორე შემთხვევაში სხეული კარგავს რა თავისი ფუნქციონირების უნარს, სული რჩება ფუნქციის გარეშე. ამას ძალიან კარგად გრძნობს სული, რის გამოც იგი ტოვებს სხეულის მართვას და როგორც პირველ, ისე მეორე მეორე შემთხვევაში იწყებს ახალი ინკარნაციისათვის მზადებას.

ადამიანის მართვა

მას შემდეგ, რაც სულმა შექმნა ადამიანი, დაიწყო კიდეც მისი მართვა.

სული ცოცხალ არსებას 22 ძირითადი თვისებით მართავს, მაგრამ, ამ თვისებებს გარდა, მას რამდენიმე ქვეთვისებაც გააჩნია. ესენია: ადამიანის მიერ მიღებული საკვების დამუშავება და შემდეგ მისი სხვადასხვა დანიშნულებით განაწილება,— ადამიანის გაზრდა — ადამიანში არსებული ყოველი ორგანოს მუშაობის უზრუნველყოფა, მათ შორის გულის მუშაობისაც, რომლის დანიშნულებაც არის სისხლძარღვების მეშვეობით საკვებითა და ჟანგბადით გამდიდრებული და გასუფთავებული სისხლის გადაქაჩვა სხეულის ნებისმიერ უჯრედში.

სული მის სამართავად ადამიანს უვითარებს გრძნობის ორგანოებს, როგორიცაა: მხედველობა, სმენა, გემოვნება, შეხებითი შეგრძნება.

ადამიანის მართვის მომენტებია ტირილიც და სიცილიც, რაც წარმადგენს დარდისა და სიხარულის გამოხატვას.

როგორი ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს, ჩვენთვის დაბერებაც არის სულის მართვის პროგრამით გათვალისწინებული. მართალია, სხვადასხვა ადამიანის სიცოცხლის სხვადასხვა ხანგრძლივობა ბედისწერით არის განსაზღვრული, მაგრამ თვით დაბერების პროცესი სულის პროგრამაშია ჩადებული.

საშბარი და კამათი

იოსებ სტალინი წერდა: ,,ზოგჯერ ადამიანის მიერ დასმული კითხვებით უფრო იოლად შეიძლება მისი გონიერების შესახებ განსჯა, ვიდრე მის მიერ გაცემული პასუხებით.''

ადამიანის ყოფიერება მარტოდმარტო მატერიალური მდგომარეობით არ განისაზღვრება.

ყოველთვის დიდსა თუ მცირე საქმეს საუბრებით ეყრება საფუძველი. საუბარი არის პიროვნებებს შორის აზრთა გაზიარებისა და ურთიერთობის დამყარების ერთადერთი საშუალება. სწორი ურთიერთობა დამოკიდებულია საუბრის სწორად წარმართვაზე. თავის მხრივ, საუბრის სწორად წარმართვა დიდად არის დამოკიდებული სასაუბრო ტონზე, რამდენადაც ტონი ძირითადად არსებობს ორი ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობისა.

პირველი — მეგობრული, რომელშიც იგრძნობა თანადგომა და თანაგრძნობა.

მეორე - პირველის საპირისპირო, რომელიც გაჟღენთილია ცინიზმით, ირონიით, აგრესიულობით, დამთრგუნველობით.

საუბარი შეიძლება გადაიზარდოს განრისხებაში, მაგრამ შეგნებულმა ადამიანმა არც მაშინ უნდა დაკარგოს ტაქტი, ასე გვასწავლის სახარება —,,განრისხდი, ოღონდ ნუ შესცოდავ''.

მიმტევებლობა და შურისძიება

სულს, სხვა თვისებებთან ერთად, გააჩნია ასეთი თვისებაც — მიმტევებლობა, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში. იგი ადამიანებს ეხმარება ერთმანეთს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებაში.

მიტევება და შურისძიება ერთმანეთის საპირისპირო თვისებებია, რომელთაგან შურისძიება უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც შურისძიების განელებას უეჭველად მიტევების გაძლიერება მოჰყვება. შეგნების ამაღლებას ვერ უნდა მოყვეს შურისძიების სიმძაფრის განელება, ხოლო შემდეგ ამას უნდა მოყვეს მიტევების ამაღლება, რაც არავითარ შემთხვევაში პირიქით არ მოხდება.

სიხარბე და სიძუნწე

სიხარბე და სიძუნწე, ორივე ერთად, ეგოიზმის ღვიძლი შვილებია. ვინც ხარბია, ის ძუნწიცაა, ვინც ძუნწია, ის ხარბიც.

ძუნწის თვისება ადამიანს დასასჯელად ეძლევა.

,,ძუნწმა კაცმა თავის თავს ჰპარაო''. ძუნწს არც სხვებისთვის ემეტება და არც თავისთვის.

კარმის კანონის თანახმად, ხარბიცა და ძუნწიც შიმშილით ისჯებიან.

იმისათვის, რომ ადამიანმა ეს თვისება არ გამოავლინოს, მას თანამედროვე შეგნება საკმაოდ უნდა ჰქონდეს ამაღლებული.

სიხარბე ადამიანს უკნინებს სიმართლისმოყვარეობას, რამდენადაც მას უნდა თუ არა, თავისი ქცევები და სურვილები რამენაირად უნდა შენიღბოს, სიმართლეს ძალიან ხშირად გვერდი აუაროს.

სჯობს, ადამიანებო, თავი ანებეთ განძისა და სიმდიდრის დაგროვების გამო ათასგვარი ცოდვების ჩადენას. მას ყოველთვის თან სდევს სისხლი, ცრემლი და სულიერი გაველურება. ამიტომაც, აი, რას ამბობს სახარება: ,,გამდიდრების მსურველნი ცვივიან განსაცდელსა და მახეში, მრავალ ბრიყვულ და მავნე გულისთქმაში, რომელიც გასანადგურებლად და დასაღუპად უბიძგებენ ადამიანს''.

(გაგრძელება იქნება)

გურამ ცერცვაძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

განცხადება

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება

ყველაზე იაფად და ხარისხიანად

ტელ: 598 00 53 53

სკანვორდი





№ 19-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ნიკო ფიროსმანაშვილი; რევოლვერის სახეობა — კოლტი; სახარება — ევანგელე; ცელქი — ანცი; ნაწლავი — წელი; შპიცბერგენის აღმოჩენი — ბარენცი; კავშირი — და; მცირე ზომის ნოხი — ძოლო; მუცლის მოშლა — აბორტი; პატარა საწნახელი — ორე; ტირიფისებრი მცენარე — ძეწნა; ფრანგული საფეხბურთო კლუბი — ნანტი; მცირე ზომის მტაცებელი ფრინველი — ალალი; დაო გურულად — დია; ქვეყანა აფრიკაში — გაბონი; მაკვანეთში გავრცელებული გვარი — გოი; ადამიანის მსგავსი მიმუნი — შიმპანზე; დიდი ხანჯალი — მახვილი; გამგრილებელი სასმელი — პეპსი; დაღესტნელი დიდებული — ნოინი; ქალის სახელი — ანა; პატარა მდინარე — ღელე; ერთ-ერთი ამორძალი — კამილა; სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში — ალამბარი; მდინარე საქართველოში — იორი; ქალაქი ავსტრიაში — აიზენერტი; პირდაპირი — ლაივი; ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში — ლუქსემბურგი; მტაცებელი ფრინველი — ქორი; ქორწინების მფარველი — ჰერა; დეპაშის სახეობა - ელვა; ფრანგი კლასიკოსი — ბალზაკი; თვითმფრინავის შავი ყუთის გამომგონებელი — უორენი; ისტორიული მხარე საქართველოში — გაგი; პურის სოკო — ობი; ბილიარდის ჯოხი — კია; მოგება ნარდში —ოინი.

ნოე რამიშვილი - საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი



1918 წლის 26 მაისს წარმატებით დასრულდა ქართველი ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. როგორც ისტორიკოსები წერენ, 26 მაისი გვირგვინია დიდი ეპოქისა, რომლის განმსაზღვრელი იყო ბრძოლა შელახული ეროვნული ღირსების აღსადგენად. იმ ურთულეს ეპოქაში მოღვაწე პოლიტიკოსებმა, სხვადასხვა პოლიტიკური მწარმსისა და პარტიული კუთვნილების ადამიანებმა შეძლეს ის, რომ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ადგილი დაემკვიდრებინა ქართული სახელმწიფოსათვის (პროფ. ვახტანგ გურული).

ნოე რამიშვილი გახლდათ ადამიანი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე გამხდარიყო. ნოე რამიშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამორჩეული წევრი იყო. მას სხვადასხვა დროს ეკავა შინაგან საქმეთა, განათლების და სამხედრო მინისტრის თანამდებობები.

ნოე რამიშვილის დასახასიათებლად მისი თანამედროვეების მრავალი გამონათქვამები არსებობს, მისი მოღვაწეობის სრული სურათი აქვს გადმოცემული პროფესორ იური სიხარულიძეს თავის მო-ნოგრაფიაში „ნოე რამიშვილი“ და ბევრ სხვას.

მოვიტანთ რამდენიმე მათგანს:

საქართველოს უმაღლესი მხეარ-თმთავარი გენერალი კვინიტაძე, რომელსაც ბედმა ნოეს მთავრობაში ვიცე-სამხედრო მინისტრის სავარძელი არგუნა, წერდა: „26 მაისს ქართველი ერი შეგროვდა ნოე რამიშვილის ირგვლივ, რომელმაც მას მიართვა დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა... ის იყო საუკეთესო პრემიერ მინისტრი.“

აკაკი ჩხენკელი: „პარტიისა და მთავრობის მთელი სიმძიმე ნოეს კისერზე იყო.“

ნოე ჟორდანია: „კაცი რკინის აგებულებისა, ფოლადის ხასიათის, დაუშრეტელი წყარო ენერგიისა, მხნეობის და თავდადების“. სწორედ ასეთმა თვისებებმა განაპირობეს, რომ ქართველმა ერმა მასში განასახიერა თავისი თავისუფლება, პირველმა მას მიანდო ნაციონალური მთავრობის შედგენა“. (იური სიხარულიძე „ნოე რამიშვილი”თბ. 2006 წ.გვ.6.)

პარტიაშივე მის გამორჩეულობას ხაზს უსვამდა ჟორდანიას მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი კონსტანტინე გვარჯალაძე: „არ არის სხვა პიროვნება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელსაც ასეთი უფლებით ეთქვა: „ეს ჩემი პარტიაა“.

პირველი რესპუბლიკის დიდ ბურჯს (იური სიხარულიძე) მარტოოდენ ქართველი პოლიტიკოსები როდი ახასიათებენ, მას ახასიათებენ უცხოელი პოლიტიკოსებიც.იტალიელი ლუიჯი მერკატელი 1920 წლის ივლისში წერდა:„დღევანდელი საქართველოს მთავრობის და ხელისუფლების დასაყრდენია ნოე რამიშვილი“.

დაიბადა 1881 წლის 7 დეკემბერს ოზურგეთის მაზრის სოფელ ქვემო სურებში (ახლანდელი დიდი ვანი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი). სოფლის სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო. შემდეგ ქუთაისის სასულიერო სემინარია დაამთავრა.

1901 წელს შევიდა იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტში, იურდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც რევოლუციური გამოსვლებისათვის გარიცხეს და გადაასახლეს კავკასიაში.

საქართველოში დაბრუნებულმა ნოე რამიშვილმა დაიწყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა.

1902 წელს შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

1903 წელს შავი ზღვისპირეთში იბრძვის, მასთან ერთად არის მისი მეგობარი ნოე ხომერიკი (შემდეგში მიწათმოქმედების და შრომის მინისტრი). პარტიულ საქმიანობაში ნოე რამიშვილს მრავალი ფსევდონიმი ჰქონდა: „პეტრე“, „სემიონოვი“, და სხვა. ბავშვობაშიც ჰქონია მეტსახელი „კოჟორა“ (იური სიხარულიძე).

დასავლეთ საქართველოში ნოეს აქტიურობა მალე შეამჩნია მთავრობამ. იგი იძულებული გახდა გასცლოდა ბათუმს.

1905 წელს იქორწინა პედაგოგ მარიამ (მარო) გოგიაშვილზე. მათ ორი ვაჟი და ორი ქალი გაუჩნდათ.

1906 წელს ნოე რამიშვილი შედის ლაიფციგის უნივერსიტეტში, რომელიც 1911 წელს დაამთავრა. სწავლას მოწყურებული სტუდენტი მარტოოდენ ლაიფციგის უნივერსიტეტით არ კმაყოფილდებოდა და გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტშიც უსმენდა იმ დროის გამოჩენილი გერმანელი პროფესორების ლექციებს. 1907 წელს მონაწილეობდა ლონდონში რსდმპ მე-5 ყრილობაზე, აირჩიეს ცკ-ის წევრად.

1911 წელს გამოქვეყნდა ნოე რამიშვილის ფილოსოფიური ნაშრომი „ისტორიული მატერიალიზმი“, რომელსაც უძღვის ნოე ჟორდანიას წინასიტყვაობა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გახდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და პარტიული გაზეთის - „ერთობის“ რედაქტორი.

1917 წლის 11 ნოემბერს ამიერკავკასის პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თათბირზე შეიქმნა სახელმწიფოებრივი ორგანო „ამიერკავკასიის კომიტეტი“ თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი. კომიტეტს რთულ ვითარებაში მოუწია მუშაობა , მაგრამ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია, განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია საზღვრების გამიჯვნის კომისიამ. რომლის სული და გული ნოე რამიშვილი იყო.

1917 წლის 23 ნოემბერს ჩამოყალიბდა ეროვნული საბჭო, თავმჯდომარედ ნოე რამიშვილი აირჩიეს . სამხედრო სექტორს ხელმძღვანელობა ნოე რამიშვილს მიენდო. ამ დავალებას იგი არნახულად ასრულებდა: ყველა საკითხი, რომელიც ქართული არმიის მშენებლობას ეხებოდა, დროულად განიხილებოდა ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის სხდომაზე და მათი მოგვარებაც ისეთი ოპერატულობით ხდებოდა, რომელიც რამიშვილის სტილისთვის იყო დამახასიათებელი. ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ქართული არმიის შექმნასა და გამოწრთობაში და თუ ჩვენი არმია იმ განიადაგებულ ომში ისეთ სასწაულებს სჩადიოდა, რომელიც დიდი ქვეყნების არმიებსაც კი შეშურდებოდა, ამაში ახალი ქართული ჯარის სწორუპოვარ ქომაგისა და ხუროთმოძღვრის ნოე რამიშვილის დამსახურებაა (იური სიხარულიძე).

1918 წლის 9 (22) აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა თავმჯდომარე (კარლო ჩხეიძე) შექმნა „ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა“ რომლის მთავრობის შექმნა აკაკი ჩხენკელს დაევალა. ამ მთავრობაში ასეთი პოსტები ერგოთ: ფედერალური რესპუბლიკის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი, შინაგან საქმეთა მინისტრი- ნოე რამიშვილი, სამხედრო მინისტრი-გრიგოლ გიორგაძე, მიწათმოქმედების მინისტრი - ნოე ხომერიკი“ (გ. შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ“).

ხანმოკლე აღმოჩდა ამ ფედერაციის არსებობა. ოსმალთა მოძალებამ აუცილებელი გახადა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. რაც 1918 წლის 26 მაისს განხორციელდა.

ხალხს იმედი ჰქონდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა შეძლებდა მტრის უკუგდებას,მაგრამ საკუთარი ძალებით ეს მოუხერხებელი აღმოჩნდა და მხოლოდ გერმანელთა დახმარებით გახდა შესაძლებელი მოძალადის შეჩერება.

1918 წლის 16 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე პავლე საყვარელიძემ დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისიის შესაქმნელად საკითხი დააყენა . აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პრეზიდიუმის სამ წევრს: ნოე ჟორდანიას. გ. ლასხიშვილს,მ ვაშაკიძეს მიენდო კომისიის შექმნა.

ამავე დღეებში შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი, თავმჯდომარე, დავით ვაჩნაძე და მიხეილ მესხიშვილი. კომისიამ დიდი მუშაობა გასწია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის.

1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს სხდომაზე საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მთავრობის შექმნა. . მთავრობის შედგენა ნოე რამიშვილს დაევალა. მთავრობა შედგა შემდეგი შემადგენლობით: მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი - ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი - აკაკი ჩხენკელი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი - გიორგი ჟურული. იუსტიციის მინისტრი - შალვა ალექსი მესხიშვილი, მიწათმოქმედის და შრომის მინისტრი - ნოე ხომერიკი, გზათა და სამიმოსვლო საქმეთა მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე

„რამიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის მიერ შედგენილი მთავრობა კოალიციური იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მთავრობის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს შეადგენდნენ, სხვა პარტიებიდან შესული მინისტრები საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდნენ საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაზე“. (ალექსანდრე ბენდიაშვილი „ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები“. 2005 წ.გვ.32).

მთავრობის თავმჯდომარე კარგად ხედავდა, თუ რაოდენ სწრაფად უნდა მოწესრიგებულიყო ურთიერთობა გერმანიასთან, რომელიც ქართველთა დამოუკიდებლობის გარანტად უნდა ქცეულიყო. მუშაობა იმავე დღეს დაიწყო ნოე რამიშვილმა. გერმანიის დელეგაცია იმ დროს საქართველოში (ფოთში) იმყოფებოდა. გერმანიის მთავრობა მიესალმა საქართველოს დამოუკიდებლობას და განაცხადა, რომ სულ მალე დანიშნავდა თბილისში თავის დიპლომატიურ წარმომადგენლებს. ამის გარდა, გერმანიამ საქართველოს აღუთქვა საგარეო მტერთაგან დაცვა.

ეროვნული საბჭოს 1918 წლის 29 მაისის სხდომაზე ნოე რამიშვილმა თქვა:

„როგორც ხედავთ,ჩვენსა და გერმანიას შორის სავსებით აღდგენილია მეგობრული კავშირი“ და იმედი გამოთქვა, რომ „ასეთივე კავშირის აღდგენა ოსმალეთთანაც მოხერხდება“ (გაზ.„ერთობა“ 31/V -1918 წ.). ნოე რამიშვილმა კარგად იცოდა, ვინ იყო ოსმალეთი, მაგრამ ასეთი ოპტიმისტური განცხადების გაკეთება, ბათუმის საზავო კონფერენციაზე გამგზავრების წინ დიპლომატური თვალსაზრისითაც მიზანშეწონილი და გამართული იყო (იური სიხარულიძე).

მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთი თვეც არ იყო გასული,მთავრობას სათავეში ნოე ჟორდანია ჩაუდგა, თუმცა, მთავრობის შემადგენლობაში სხვა ცვლილებები არ მომხდარა. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, მთავრობის ახალი მეთაური ისე, როგორც პარტია, რომლის თავმჯდომარე ის იყო, კოალიციური მთავრობის მომხრე არ იყო და ერთპარტიულ მეთაურს ამჯობინებდა.

როგორი ურთიერთობა იყო ნოე რამიშვილს და ნოე ჟორდანიას შორის? პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება . ცნობილია მაშინდელი პოლიტიკოსი მოღვაწეების მოგონებები და სტატიები. როგორც გადმოგვცემენ, ორი ნოეს ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებდა პიროვნული განსხვავებაც. წყაროები, ჟორდანიასგან განსხვავებით, რამიშვილს ახასიათებენ ძლიერი ნებისყოფის პიროვნებად, დიდ პოლიტიკოსად, რომელსაც შეეძლო სახელმწიფოებრივი ინტერესები ყველაფერზე მაღლა დაეყენებინა. სწრაფი და სწორი გადაწყვეტილების მიღება ქვეყნისათვის რთულ პერიოდში.

(გაგრძელება იქნება)

მანანა ლომაძე,

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი

სულთათანა

ჩემი ქართულის მასწავლებელი

იზოლდა ჩხეიძის ხსოვნას

ორმოცი დღე ორმოცი წამივით მიილია. მიწას ყვავილივით აღარ ამშვენებს ჩვენი იზოლდა მასწავლებელი.

დიახ, აღარაა ჩვენი იზოლდა მასწავლებელი. ის სამოთხის ყვავილად იქცა. წავიდა და თან წაიღო ტკივილებითა და ასევე სიხარულით სავსე გული. არაჩვეულებრივმა ქალბატონმა, ღირსეულმა დედამ, ბებიამ, ქალმა, მოქალაქემ, სიტყვიერების ჩინებულმა მცოდნემ თაობებს გვასწავლა უფლის, სამშობლოსა და მწერლობის სიყვარული. გვასწავლა რა არის არსი ადამიანის ცხოვრებისა. „ჭირსა შიგან გამაგრება“ და გვასწავლა სიყვარული, რომლის გარეშე, მართლაც, მზე არ სუფევს ცის კამარაზე.

და ახლა მოგონებად იქცა ჩვენი მასწავლებელი, ლამაზ, ღირსეულ მოგონებად და მე თავს უფლებას მივცემ არა მხოლოდ ჩემი, არამედ ყველა ბავშვის სახელით,ვისაც ჩვენი იზოლდა მასწავლებელი ასწავლიდა, დავუდასტუროთ წრფელი მადლობა და უდიდესი პატივისცემა.

უფალო, სულთათანა განუსვენე ჩვენი მასწავლებლის სულს და დაუმკვიდრე მას ცათა სასუფეველი!

მანოლა ვაშალომიძე,
1974 წლის
კურსდამთავრებული.

შვილი ვანო, რძალი ქეთევან ჯორბენაძე, შვილიშვილები: მიშა, ლევანი, მაგდა ნიკა, ნინო იუწყებიან **ლილი ზენაიშვილი-ფირცხალაიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

* * *

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება **ლილი ზენაიშვილი-ფირცხალაიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აი რატომ წავიდა ყაზაიშვილი სათამაშოდ ამერიკაში - ნახეთ, რამდენს იღებს წლიურად ხელფასის სახით ჩვენი თანაქალაქელი ფეხბურთელი

პოლონურმა **sportl interia.pl**-მა გამოაქვეყნა ინტერვიუ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ვაკო ყაზაიშვილთან, ვინც ვარშავის „ლეგიადან" ამერიკულ „სან ხოსეში" (**MLS**) გადავიდა:

„მივიღე ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ჩემთვის მომგებიანი იყო როგორც ფინანსურ, ისე სპორტულ ასპექტში, - ამბობს ყაზაიშვილი. - "სან ხოსეს" სპორტული დირექტორი ჩემს შესაძლებლობებს კარგად იცნობდა იმ დროიდან, როცა ჰოლანდიაში ვთამაშობდი. მან მითხრა, რომ თუ გადავიდოდი „სან ხოსეში", გუნდის თამაში ჩემ გარშემო აეწყობოდა.

მე უკვე მივიღე მწარე გამოცდილება და მინდა დავამტკიცო, რომ კარგი ფეხბურთის თამაში შემიძლია. მინდა, ხშირად გავიდე მინდორზე...

არ ყოფილა კონკრეტული შეთავაზებები

სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ თუ ცოტა ხანს მოვიცდიდი, უთუოდ შემეხმიანებოდნენ ჰოლანდიიდან. იქ ყველაზე კარგად იციან, რა შემიძლია. მივიღე თუ არა „სან ხოსეს" წინადადება, კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ...

რაც შეეხება „ლეგიას", რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ. ამ კლუბთან ხელშეკრულება სატრანსფერო „ფანჯრის" ბოლო დღეს გავაფორმე. ჩავედი პოლონეთში და უკვე სამ დღეში ვითამაშე ჩემპიონთა „დორტმუნდთან". ამას მოჰყვა ის, რომ „ლეგიაში" მწვრთნელი შეიცვალა და თავიდანვე არ ამეწყო ურთიერთობა ახალ მწვრთნელ იაცეკ მაგიერასთან. მან თავიდანვე მითხრა, რომ გუნდში მისი მიყვანილი არ ვიყავი და იქ ჩემი ადგილი არ იყო.

მაქვს ამაზე ჩემი აზრი, მაგრამ ახლა არაფერს ვიტყვი. ძველი ამბების გახსენება საჭირო აღარ არის. მინდა, მას „სან ხოსეში" წარმატებული თამაშით ვუპასუხო...

ცხადია, „ლეგიადან" ბევრი კარგი მოგონებაც გამომყვა. ვითამაშე ისეთ მაღალი დონის შემსრულებლებთან, როგორებიც არიან ნიკოლიჩი, პრიოვიჩი, ოჯიჯა-ოფოე... ჩვენ ვითამაშეთ ჩემპიონთა ლიგაზე და მოვიგეთ პოლონეთის პირველობა. ბოლოს გუნდმა რამდენიმე ლიდერი დაკარგა, თუმცა „ლეგია" მაინც დიდი კლუბია...

იქიდან წასვლის შემდეგ მწვრთნელებთან არ მისაუბრია. ველაპარაკე თანაგუნდელებს - ოჯიჯა-ოფოეს, ჰამალაინენს, გილერმეს... მოხარული ვარ, ოჯიჯა-ოფოე „ოლიმპიაკოსში" რომ გადავიდა. ის დიდი ტალანტია და ნებისმიერ ლიგაში წარმატებით ითამაშებს. მან ჩემპიონთა ლიგაში უკვე გაიტანა „ოლიმპიაკოსის" მაისურით...

დააზარალებს თუ არა ჩემს კარიერას ამერიკაში გადასვლა? სექტემბრის დასაწყისში საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები აქვს ჩასატარებელი ირლანდიასა და ავსტრიასთან. ეროვნულ გუნდში მეც ვარ გამოძახებული...

ახლა არ ვფიქრობ იმაზე, მუდმივად ვითამაშებ აქ თუ ევროპაში დავბრუნდები. კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი მაქვს და მინდა, „სან ხოსესთვის" მაქსიმუმი გავაკეთო", - თქვა ვაკომ.

სულ ცოტა ხნის წინ ვაკოს შესახებ ოფიციალური მონაცემები გამოქვეყნდა თუ რამდენს იღებდა წლიურად ხელფასის სახით ქართველი ფეხბურთელი. ყაზაიშვილს „სან ხოსე" წელიწადში დაახლოებით 1,5 მილიონს უხდის, რაც დამეთანხმებით რომ შთამბეჭდავი ციფრებია. ხოლო რაც შეეხება თვიურად, ვაკო ერთ თვეში დაახლოებით 121 000 დოლარს გამოიმუშავებს. დღეში დაახლოებით 4000 დოლარს!!!

შეგახსენებთ, რომ 25 წლის ყაზაიშვილი „სან ხოსეში" 2017 წელს პოლონური გუნდიდან, "ლეგიადან" გადავიდა.

ჩემპიონატი შაშში

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა მუნიციპალური ტურნირი 64 უჯრიან შაშში. რომელშიც 10 შაშის მოყვარული მონაწილეობდა.9 შესაძლებლობიდან 8 ქულით, წაგების გარეშე, პირველი ადგილი დაიკავა ნუგზარ რუხაძემ, ,რომელსაც ოზურგეთლები სამაგიდო თამაშების ძლიერ და სტაბილურ მოთამაშედ იცნობენ. წაუგებლად ჩაატარა ტურნირი ასევე ცნობილმა მოშაშემ, სოფელ ოზურგეთელმა ლუკა (ედი) კვირჩილაძემ , თუმცა გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და 7,5 ქულით ვიცე,ჩემპიონობას დასჯერდა. მესამე ადგილზე 6 ქულით ჯემალ კეჭაყმაძე გავიდა,ხოლო მეოთხეზე ვოვა ქარჩავა.

შეჯიბრებას სჯიდა რეგიონალური კატეგორიის მსაჯი ანზორ ქუტიძე.

წარმატებულ მოშაშეებს სპეციალური დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცა,

რომელიც ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებამ დააწესა.

„ბატის ჭუკი" თოჯინების თეატრის სცენაზე

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრმა მორიგ პრემიერად ნ. გერნეტის „ბატის ჭუკი" წარმოადგინა.

სპექტაკლის რეჟისორია ოთარ კუტალაძე: დამდგმელი მხატვარი ნინო კეჭაყმაძე; მუსიკალურად გააფორმა დავით მეგრელაძემ; ქორეოგრაფი – ლია მარტიაშვილი.

ბავშვებისთვის საყვარელი გმირები: მანანა, მელია, ზღარბი, ბატის ჭუკი განასახირეს მსახიობებმა მარი ქილიფთარმა, ელენე კვარაცხელიამ, გურამ კეკელიძემ, გიორგი გაფრინდაშვილმა.

„ბატის ჭუკის" გარდა თოჯინების თეატრს კიდევ 15 სპექტაკლი აქვს 2018 წლის რეპერტუარში.

უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო ბულინგის პრობლემის მართვას?!

ამ თემაზე 16 მაასს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში" საჯარო დებატი გაიმართა.

დებატები ორგანიზებულია პროექტის „ბულინგის აღმოფხვრის შესაძლებლობები" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია „სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობის პროგრამის" **SCOPE** ფონდი „ჰარმონიას" მიერ.

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა" პროექტის ფარგლებში ჩამოაყალიბა მშობლებისა და მოზარდების ჯგუფები, რომელთაც ჩაუტარდათ სასწავლო ტრენინგები ბულინგის რაობისა და შედეგების შესახებ. მათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 11 თემში ჩაატარეს თანატოლ განმანათლებელთა სემინარები დაინტერესებული მშობლებისა და მოსწავლეებისათვის.

მიღებული ინფორმაციების საფუძველზე შედგა დებატი, რომელიც პროექტში ჩართულმა მოზარდებმა და მშობლებმა მოამზადეს.

დებატმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება, აჩვენა, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ბულინგის პრობლემის მართვას.

მუნიციპალიტეტის მხარადაჭერას ანსამბლის წარმატება მოჰყვა

13 მაისს, ქ.თბილისში გაიმართა ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IV ეროვნული კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოცნება"-მ (ხელმძღვანელი ნინო ჩხაიძე). ანსამბლი წარმატებით წარსდგა მაყურებლისა და ჟიურის წინაშე. მორალური და ფინანსური მხარდაჭერის გამო ანსამბლის წევრები და მშობლები დიდ მადლობას უხდიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ კოსტანტინე შარაშენიძეს. ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრიაციო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს ქ-ნ. თამარ ნადირიძეს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების უფროსს ბატონ მაიზერ ცელაძეს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

21 მაისი, ორშაბათი	22 მაისი, სამშაბათი	23 მაისი, ოთხშაბათი	24 მაისი, ხუთშაბათი	25 მაისი- პარასკევი	26 მაისი, შაბათი	27 მაისი, კვირა
მზე ღრუბელი +14+20	მცირე წვიმა +15+20	ღრუბელი +14+19	წვიმა +16+19	მზე ღრუბელი +17+23	მზე ღრუბელი +16+23	წვიმა +13+18